

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწული საქმიანობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას ანგარიში

ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მე, როგორც საკრებულოს წევრს და ამავედროულად საკრებულოს თავმჯდომარეს, მავალდებულებს ანგარიში ჩაგაბაროთ 2016 წელს გაწული საქმიანობის შესახებ. კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, ის ერთ-ერთი დამატებითი ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის თაობაზე.

შემაჯამებელ ანგარით მსურს წარმოვადგინო ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებზედაც საკრებულომ გასულ წელს იმუშავა. თქვენი ყურადღება შევაჩერო საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტებსა და მუნიციპალიტეტში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებზე. თანმიმდევრული პოლიტიკის, მართებულად დაგეგმილი საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის ორი რგოლის კოორდინირებული მუშაობის შედეგია, ის რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ნოვატორული პროექტებით, მზარდი ბიუჯეტითა და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებებით.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია თქვენი და შემდეგ უკვე საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმის და თითოეული ამომრჩევლის მიმართ. აქედან გამომდინარე ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც მიღებული ნდობის შენარჩუნება, პოლიტიკური პროცესების მართვა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებაა.

2016 წელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უპირველესად საკრებულოს საქმიანობის დაგეგმვით დაიწყო. საკრებულოს სამუშაო გეგმა გამომდინარეობს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტიდან და ემსახურება ამ დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას. აგრეთვე საქმიანობის განხორციელების პროცესში, ჩვენ კომისიების, ფრაქციების, გამგებლის წინადადებების გათვალისწინებით ყოველთვიურად ვახდენთ მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენას, სადაც ხდება განსაზღვრული საკითხების დეტალიზება, დაკონკრეტება.

რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩემი თავმჯდომარეობით 2016 წელს ჩაატარა 22 სხდომა, სადაც მიღებლ იქნა 73 განკარგულება, დამტკიცდა 28 დადგენილება. ხოლო ჩემს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემულ იქნა 105 ბრძანება.

საკრებულო კოლეგიური ორგანოა. აქ გადაწყვეტილებები მიიღება საკრებულოს წევრთათვის პროექტების დროულად გაცნობის, საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების, საკუთარი აზრის თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობის უზრუნველყოფითა და კენჭისყრის გზით. საკრებულოს ეფექტური ფუნქციონირების ერთე-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი 5 მუდმივმოქმედი კომისიის აქტიურობა და გამართული მუშაობაა. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომებზე სამართლებრივი აქტების სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ, თავიანთი დარგების შესაბამისად. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის დაცვამ, რომელიც გულისხმობს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ

ორგანოთა ერთ ორგანიზმად არსებობას, ჩამოყალიბა ეფექტური მენეჯმენტი და საფუძველი ჩაუყარა სწორ ადმინისტრირებას.

თავდაპირველად ყურადღებას გავამხავილებ ყველაზე მნიშვნელოვან პროცესზე, რასაც ბიუჯეტის ფორმირება ჰქვია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 2016 წელი ამ მიმართულებითაც სიახლით დაასრულა. ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამულ ფორმატზე გადასვლამ განაპირობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის ახალ, პროგრამულ ჭრილში შედგენა. მოგეხსენებათ, პროგრამული ბიუჯეტი ტრადიციული სტრუქტურის ბიუჯეტის ალტერნატივაა და იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ ის დაგეგმვის პროცესისთანავე შედეგზეა ორიენტირებული. პროგრამულ ბიუჯეტში ხარჯები კონკრეტული პროგრამების მიხედვით არის დაყოფილი და უფრო თვალსაჩინოა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის. საკრებულოს მისწრაფება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ამ კუთხითაც ყოფილიყო ნოვატორი, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სრულად გაიზიარა. მართალია, ჩვენი ბიუჯეტის საბოლოო სახე პროგრამულ ბიუჯეტს სრულყოფილად არ ასახავს, მაგრამ ეს არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ.

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს თან ახლდა განხილვები, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში. მოსახლეობის ინფორმირებულობის და მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით, საზოგადოებრივი დარბაზის, მედიის წარმომადგენლებისა და რიგითი მოქალაქეების ჩართულობით, ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაც მოეწყო. თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც. საკრებულოს რეკომენდაციები და ინიციატივები აღმასრულებლის მხრიდან გაზიარებული იქნა და 2017 წლის ბიუჯეტი **10 481, 9** ათასი ლარით საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა. უცვლელია პრიორიტეტები:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლების ხელშეწყობა;
- კულტურა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან დღემდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები 5 544 800 ლარითაა გაზრდილი. 2014 წლისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები შეადგენდა მხოლოდ 6 056 400 ლარს, ხოლო 2015 წლისათვის 8 781 000 ლარს, რაც 2014 წლის შემოსულობებზე 2 724 600 ლარითა და 44.98%-ით მეტია. 2016 წელს საკუთარმა შემოსულობებმა შეადგინა 11 601 200 ლარი, რაც 2015 წლის მონაცემებთან შედარებით 32%-ით მეტია, ხოლო 2014 წლის შემოსულობებზე 91%-ით.

შესაბამისად, ბიუჯეტის ზრდა აისახა მთავარ პრიორიტეტზე ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსების ზრდაზე. სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში გადანაწილებული თანხა, საჭიროებისამებრ ხმარდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა მოქალაქეს; იმართება კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

სიამოვნებით გამოვყოფ რამდენიმე ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდა.

მათ შორისაა:

- ▶ ჯუმათის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა;
- ▶ სოფლებში ნაგომარი, ვაკიჯვარი (ფამფალეთი) - მთისპირის, მაკვანეთის, სოფ. ოზურგეთი - გურიანთის, ბოხვაური - შემოქმედის, მელექედური - ნასაკირალის, გაღმა დვაბზუ - ბახვის, ასკანა - მშვიდობაური - ბახვის დამაკავშირებელი საავტომობილო გზებისა და დაბა ურკში თაყაიშვილის ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.
- ▶ გასული წელი მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო საბავშვო ბაღების მშენებლობით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 5 ახალი საბავშვო ბაღი შეემატა. სოფლებში: ჭანიეთი, ბახვი, ცხემლისხიდი, სოფელ ოზურგეთი - ჩვენი პატარები ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი ბაღებით სარგებლობენ. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართუს მიერ აშენდა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა ახალი საბავშვო ბაღი წვერმაღალის დასახლებაშიც.

ზემოთ ჩამოთვლილი არასრული სია ინფრასტრუქტურული პროექტებისა იმ ეფექტური საქმიანობის დამადასტურებელია, რაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის - ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ხორციელდება.

თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, სოციალური პროგრამების რაოდენობა, 2015 წელთან შედარებით გაზრდილია.

2016 წელი მრავალფეროვანი იყო კულტურული და სპორტული ღონისძიებებითაც. დიდი ყურადღება ეთმობა ტურიზმის განვითარებას. ჩვენი მუნიციპალიტეტი გამორჩეულია, როგორც სამთო, ასევე საზღვაო კუროტრით, სწორედ მათი განვითარება წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. საქართველოს მთავრობის მიერ, ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე დადგენილების მიღება, საშუალებას იძლევა ტურისტული ზონა ურეკსა და შეკვეთილში განვითარდეს გეგმაზომიერად. დაიწყო კურორტ გომის მთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობაც, რაც სამთო კურორტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 300 000 ევროიანი დაფინანსება მოიპოვა. გურიის მუნიციპალიტეტები კონკურსში „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბისა“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციის - „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ შეთავაზებული იდეის საფუძველზე ჩაერთნენ. კონკურსი, მიზნად რეგიონების ტურისტული კერების პოპულარიზაციას ისახავს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი არასამთავრობო, მედია და ბიზნეს სექტორთან ერთად ტურიზმის

განვითარების კონცეფციის ავტორი და წარმდგენი გახდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ევროკომისიასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ საკრებულომ შესაბამისი განკარგულება მიიღო. პროექტის ფარგლებში შეიქმნა პროექტის სლოგანი, ლოგო, სახელწოდებით - „რა ყოფილა გურია.“ შემუშავდა რუკა. რუკაზე დატანილია ყველა ის ადგილი, რომლებიც ტურისტებისთვის შეიძლება იყოს მიმზიდველი. რეგიონის მასშტაბით, ოთხივე მუნიციპალიტეტში დაიწყო ტურისტული საჭიროებების კვლევა.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ყურადღებას გავამახვილებ უმაღლეს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სამართლებრივ აქტების სახით გამოიცა. საკრებულო არის ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ნორმატიული აქტი. ცხადია, ეს არის უაღრესად დიდი საპასუხისმგებლო უფლებამოსილება, რომლის განხორციელებისას ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვხელმძღვანელობთ მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და სწორი პოლიტიკის განსაზღვრის პრინციპით. ჩვენვე გვაქვს ვალდებულება განვახორციელოთ კონტროლი და ზედამხედველობა მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე. აქედან გამომდინარე, ეს საპასუხისმგებლო პროცესი მიმდინარეობს საკრებულოს კომისიებსა და ფარქციებში საკითხებზე მსჯელობით, მოქალაქეთა ინფორმირებითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებ, რამდენიმე იმ მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტზე, რომელიც გასულ წელს იქნა მიღებული.

გამოვყოფ რამდენიმე მათგანს:

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის და ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების წესის შეთანხმების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განკარგულება დაამტკიცა. საქართველოს მთავრობამ კი ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე, დადგენილება მიიღო. აღნიშნულმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი საკურორტო ზონის გეგმაზომიერ განვითარების აუცილებლობას.

✓ საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების (შეკვეთილი, კაპროვანი) ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავისღვისპირა პლაჟზე ბაზირების პუნქტებიც.

✓ საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლისას გასატარებელი ღონისძიებებიც განისაზღვრა. აღნიშნული სამართლებრივი აქტი, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების, ქუჩებში სისუფთავის დაცვის, მწვანე ნარგავების შენარჩუნების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის გაშვებას კრძალავს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს სწორ ხედვას მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სამომავლო პერსპექტივების შესახებ. რაც საბოლოოდ აისახება შემოსავლების ზრდასა და ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

✓ მუნიციპალიტეტმა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხისა და გრანტის აღების შესაძლებლობაც გამოიყენა. საკრებულომ განკარგულების მიღებით, საკითხზე გამგებელს თანხმობა მისცა. თანხა სრულად მუნიციპალიტეტში ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნას მოხმარდა.

მოგეხსნებათ, ორგანული კანონის შესაბამისად ნარჩნების მართვა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ოზურგეთის ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხა იხარჯება, ხოლო ზემოთ აღნიშნული ქმედებით ხელს შევუწყობთ სევისის დაფარვის არეალის გაზრდას, ვუზრუნველყოფთ სერვისზე მეტ ხელმისაწვდომობას.

✓ საკრებულომ შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებით, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, ეს სფეროც დაარეგულირა. განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის წესი, რეგულაციები.

✓ N41 განკარგულების მიღებით ყველა საარჩევნო სუბიექტს შესაძლებლობა მიეცა 2016 წელს, წინასაარჩევნო კამპანია თანაბარ პირობებში ეწარმოებინათ. განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი სააღრვევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა.

✓ საკრებულომ დადგენილება მიიღო დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ. ამ დადგენილებით რეგულირდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებების ტიპური დებულება და მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ჩამონათვალი, რომლებშიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შექმნილია დასახლების საერთო კრება. დასახლების საერთო კრება ეს არის მოსახლეობის თვით ორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიულ პირებისთვის, საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესი ამოქმედდა.

პროაქტიულად გამოქვეყნების წესში ცვლილებით, საკრებულოს გადაწყვეტილება ახლა უკვე ნებისმიერი ორგანიზაციას, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება, ავალდებულებს პროაქტიულად გამოაქვეყნოს საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

✓ საზოგადოებრივი დარბაზის ინიციატივით, ცვლილება შევიდა რეგლამენტშიც, მოქალაქეთა ინფორმირების მუხლში. საკრებულოს, საკრებულოს კომისიების სხდომებისა, დღის წესრიგის და სხვა გადაწყვეტილებების შესახებ, დაინტერესებული პირებთან ინფორმაცია მოკლეტექსტური შეტყობინების და/ან ელ. ფოსტის მეშვეობით იგზავნება.

საკრებულო საქმიანობის გამჭვირვალობას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრისადმი მის კონტროლქვემდებარებას, გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში მოქალაქეთა მიერ საჯარო ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას, საჯაროობის პროცესის დაცვით უზრუნველყოფს. აღნიშნული მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, მათ შორის: ინფორმაციის საჯაროობას, თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას და ანაგარიშვალდებულებას. საკრებულოს სტრატეგიამ, რომელიც უპირველესად თვითმმართველობაში მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ისახავს მიზნად, საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ინიციატივები, რაც ინოვაციური მექანიზმების შექმნასა და ელექტრონული მმართველობის პრინციპების დანერგვას გულისხმობს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობით შეიქმნა და სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსდა პროექტები: ,

- მართე სახლიდან“,
- „ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმების დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში“
- „ინფორმირების სისტემის ამოქმედება თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად“
- „მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“.

გარდა მექანიზმების შექმნისა, ამ პროექტების შედეგად შექმნილი ქონება მთლიანად გადაეცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, რაც შეეხება შექმნილ სერვისებს, მათი არასრული ჩამონათვალი ასეთია:

- სხდომების „ონლაინ“ ტრანსლაცია;
- სამოქალაქო ჩართულობის ცენტრები სოფლად;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის „ონლაინ“ ინტსტრუმენტები;
- მოქალაქეთა „ონლაინ“ მონაწილეობა, შეტყობინებების (მესიჯების) დაგზავნის სისტემა;
- საკრებულოს საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის განახლების მექანიზმი;
- მოძებნე საჯარო ინფორმაცია და სხვ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, საკრებულომ განსაკუთრებით სრული მზადყოფნა გამოხატა ყველა იმ ნოვაციისათვის, რაც მის ღიაობას და ანგარიშვალდებულებას გაზრდიდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღია მმართველობა საქართველოს წევრი გახდა - მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან OGP მოიაზრება ღია მმართველობის რეფორმებისა და ამ მიმართულებით ინოვაციების განხორციელების მნიშვნელოვან პლატფორმად. ის, რომ ოზურგეთი მოხდა სამოქმედო გეგმაში თავისთავად მეტყველებს ჩვენი ხედვებისა და საქმიანობის OGP-ის მიზნებთან თანხვედრაზე, თუმცა კიდევ დიდი ძალისხმევაა გასაწევი ამ მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, რომ საკრებულოს მონაწილეობა OGP-ის პროცესში იქნება წარმატებული, რაც გასათვალისწინებელ მაგალითს შექმნის სხვა მუნიციპალიტეტებში (იხ: მთავრობის დადგენილება N539; 9 დეკემბერი; 2016 წ.).

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს აპარატის მიერ დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ, ოზურგეთის მოსახლეობამ საკრებულოს პეტიციითაც მიმართეს, გამოიყენეს ჩართულობის ეს მექანიზმიც და შექმნეს პრეცედენტი, რომლიც ხალხის ხმას გულისხმობს თვითმმართველობაში. პეტიციის სახით წარმოდგენილი ოთხივე წინადადება განხილვისა და მსჯელობის საგანი გახდა, როგორც შესაბამის კომისიებში, ასევე ბიუროს სხდომაზე. შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების ან წინადადებების მიუღებლობის თაობაზე მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამუშაო პროცესში აღმასრულებელი რგოლიც ჩაერთო. საკრებულოსთვის ეს გახლდათ მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის ნათელი მაგალითი.

ანგარიშგება, რომლიც თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, საკრებულოს წევრებს, მოსახლეობის წინაშე, საქმიანობის შეჯამებას აკისრებს. საკრებულომ, ამ მიმართულებით 2015 წლის გამოცდილება გაიზიარა და 2016 წელსაც, დარგობრივი კომისიებისთვის ყოველთვიური შემაჯამებელი ანგარიშები ვალდებულებად აქცია. ანგარიშები წარადგინეს, როგორც პროპორციული სიით არჩეულმა საკრებულოს წევრებმა, ასევე სოფლების მაჟორიტარმა დეპუტატებმა. ეს არის პროცესი როდესაც თქვენს მიერ ნდობაგამოცხადებული საკრებულოს წევრები ანგარიშს გაბარებთ, უშუალოდ გესაუბრებათ შესრულებულ ვალდებულებებზე, თქვენთან ერთად სახავს სამომავლო გეგმებს და პრობლემათა გადაჭრის გზებს. სწორედ ასეთი მიდგომებით, დამოკიდებულებით ვცდილობთ თანაზიარი გაგხადოთ ყველა იმ პროცესის, რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. თვითმმართველობა არის ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი ხელისუფლება, რაც ვალდებულებებთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

მოგესხენებათ, საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. აპარატმა თვისი საქმიანობა სამართლებრივი საფუძვლების თანახმად განსაზღვრული უფლებამოსილების მიხედვით წარმართა, რაც სტატისტიკურ მონაცემებსა, დამატებით ფორმებსა და საშუალებებში აისახა.

წარმოგიდგენთ შესრულებული სამუშაოების შესახებ, სტატისტიკურ ინფორმაციას: ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22, მუდმივმოქმედი კომისიების 95, საკრებულოს ბიუროს 26, საზოგადოებრივი დარბაზის 13 სხდომას. დარეგისტრირებული 197 - შემოსული, 232 გაგზავნილი და 310 შუალედური კორესპოდენცია. 15 განცხადება დარეგისტრირებულია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე. ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში. ადგილი არ ქონია საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა შემდეგი სახის ინფორმაციები: საკრებულოსთან დაკავშირებული 142 სიახლე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის 22 ოქმი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 26 ოქმი, მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედ კომისიათა სხდომების 95 ოქმი, 206 სამართლებრივი აქტი. შემოსული კორესპოდენციებიდან 15 განცხადება 2016 წლის 1 იანვრიდან დღემდე აპარატი ახდენდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, საკრებულოს ბიუროს, საზოგადოებრივი დარბაზის, საკრებულოს სხდომების ორგანიზებას, საკრებულოს წევრების გაფრთხილებას საკრებულოს სხდომებზე, კომისიათა სხდომებზე და საჯარო განხილვებზე დასასწრებად, მასალების გადამრავლებასა და სხდომების პირდაპირ ტრანსლირებას. კომპიუტერული მომსახურება გაეწიათ, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, ყოველთვიურად გაწეული მუშაობის შესახებ და საკრებულოს ფრაქციების მიერ ყოველკვარტალურად წარმოდგენილ ანგარიშებს. კომპიუტერული მომსახურება

გაეწია გასაგზავნ წერილებსა და განცხადებებს; პასუხი გაეცა კომისიებში და ფრაქციებში შემოსულ ელექტრონულ კორესპოდენციას. საკრებულოს წევრებთან შეთანხმებით მომზადდა და გადანაწილდა: ამომრჩევლებთან შეხვედრის, მიღების, წლის შემაჯამებელი ანგარიშების გრაფიკები. ორგანიზაციულ-ტექნიკური, საოქმო მომსახურება გაეწია საკრებულოს წევრების ამომრჩეველთა მიღებასა და ამომრჩეველთან შეხვედრებს. ორგანიზაციულ-ტექნიკური და საოქმო მომსახურება გაეწია საკრებულოს 6 ფრაქციის სხდომას.

დასასრულს მინდა აღვნიშო, საკრებულოს მართვის ეფექტიანობა, რაც გადაწყვეტილებათა ოპერატიულად მიღებას გულისხმობს და ის მორგებულია ადგილობრივ საჭიროებებს. აქვე მაქსიმალურად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ და ახალი სერვისების დანერგვით გავზარდოთ მოქალაქეთა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი საკითხების დაგეგმვასა და გადაწყვეტაში. ჩვენი საქმიანობის მთავრი მიზანიც არის დავაკავშიროთ ერთმანეთთან ხელისუფლება და მოსახლეობა. სწორედ ეს გავიხადეთ საქმიანობის მთავარ პრინციპად. ჩემი კოლეგებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლების კვალიფიციური საქმიანობით, მხარისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად თავდაუზოგავი შრომით, თანმიმდევრული პოლიტიკით, ახალი ინიციატივებით, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით, სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული საქმიანობით და ჩვენს ამომრჩევლებთან მუდმივი კომუნიკაციით შევძელით, 2016 წელი დაგვესრულებინა საკუთარი შემოსავლების მატებით განპირობებული გაზრდილი ბიუჯეტით და ეს ტენდენცია 2017 წელსაც გრძელდება. ყოველივე ეს კი განაპირობებს მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, მეტ მოგვარებულ პრობლემას, მეტ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტსა და უფრო ძლიერ სოფელს.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.